GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 312
თარიღი: 11 10 2018 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 18 02426923

04/10/2018

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს
მისამართი: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №75გ
ტელეფონი: 591938908

ბატონო დავით,

2018 წლის №MIA 91802356568 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან 2018 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა ირანის ისლამური რესპუბლიკის 235 მოქალაქემ. აქედან 2015 წელს თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა ირანის ისლამური რესპუბლიკის 25 მოქალაქემ, 2016 წელს - 63 მოქალაქემ, 2017 წელს - 90 მოქალაქემ, 2018 წელს (1 იანვრიდან - 1 სექტემბრამდე) - 57 მოქალაქემ.

2015 წლიდან 2018 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოში ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა ირანის ისლამური რესპუბლიკის 45 მოქალაქეს. 2015 წელს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა ირანის ისლამური რესპუბლიკის 2 მოქალაქეს, 2016 წელს - 17 მოქალაქეს, 2017 წელს - 20 მოქალაქეს, 2018 წელს (1 იანვრიდან - 1 სექტემბრამდე) - 6 მოქალაქეს.

რაც შეეხება ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეთა ლგბტ თემის წევრობას, სამინისტრო თქვენ მიერ მოთხოვნილი ფორმით სტატისტიკას არ აწარმოებს, შესაბამისად მოკლებული ვართ მოგაწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი
თათია ცეცხლაძე

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge